ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 27
შაბათი, 6 თებერვალი, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 27
შაბათი, 6 თებერვალი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაგარეგლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1 ამა თებერვალს გარდაიცვალა ახერნში ქვრივი კავკასიის ნამესტ-ნიკად ყოფილის გენერალ-ფელდ-მარშალისა, კნეინა

**ელისაბედ დიმიტრის ასული**

**ბარიატინსკისა.**

ნათესავთა და ნაცნობთ აუწყებენ განსვენებულის ბიძაშვილნი კნეინა **მარიამ ვახტანგის ასული** და თავ. **ნიკოლოოზ ვახტანგის ძე ჯამბაკურ ორბელიანები**, რომ წირვა და პანაშვიდი გარდახდილ იქმნება სიონის ტაძარში, ორშაბათს, 8 თებერვალს. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. (2—12—2)

**მიხეილ გიორგის ძე ნათაძე** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა ძვირფასის ცოლისა თვისსა

**ქეთევან ისააკის ასულის ნათაძისას.**

პანაშვიდი გარდახდილი იქმნება ყოველ-დღე, დილით 12 საათზედ და საღამოთი 7 საათზედ. გამოასვენებენ ცხედარს კვირას, 7 თებერვალს, 10 საათზედ მიხეილის საავადმყოფოდგან წმიდა ნიკოლოოზის ეკკლესიაში. (1—15—1)

## ქართული თეატრი

კვირას, 7 თებერვალს,

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან ქ-ნ **ეფ. მესხის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება

## კონსტანტინე ბატონიშვილი

ისტორ. დრამა 5 მოქმედ. თხზ. ა. ყაზბეგისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი.**

ხუთშაბათს, 11 თებერვალს, დანიშნულია ბენეფისი ქ-ნ ეფ. მესხისა.

ქ. ქუთაისი

## ექიმი

## ნ. გ. ჩიჩინაძე

იღებს ავადმყოფებს (ლევაშოვის ქუჩაზედ, პეტრე ხარაზოვის სახლში, № 13).
დილის 9—11 და საღამოს 4—6 საათამდის. ( —6.—8)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა (კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ა. ა. **ხავასარდიანი, 11—12 საათ.** სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ფ. მ **ჩიქოვანი, 9—10 საათ.** სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ჩ. ი. **ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. **პროტასევიჩი—12—1 საათ.** ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ბ. **კარაშეტიანცი. 1—1½ საათ.** შინაგანი და ბავშვებისა.

ა. ბ. **ბურგი. 1¼—2¼ ს.** შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. **მახვილაძე.—5—6 საათ.** შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. **შპაკოვსკი—6—7 საათ.** ნერვების (ელექტროტერაპია), ვენელიური და კანის სნეულებ.

ბ. ა. **ნავასარდიანი—6½—7 საათ.**

ტ. ი. **რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეოროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**Первая частная лѣчебница** *Д-ра Навасардiана.*

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.** (—1—წ)

### მთავრობის განკარგულებანი

—

გადაყვანილ იქმნა პიატიგორსკის სამპატიმროს უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი, ქვეითა არტილერიის შტაბს-კაპიტანი წვიმეტიძე—კავკასიის ზურგის არტილერიის ბრიგადაში.

ჩარიცხულ იქმნა სათადარიგო ჯარში კავკასიის მთავარ-მართებლის ადიუტანტი პოლკოვნიკი თავ. ორბელიანი.

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულებისა გამო სტატსკი სოვეტნიკობა: ზუგდიდის მაზრის მე-2 განყოფილების მომრიგებელ-შუამავალს თავ. ჭავჭავაძეს, განჯის გუბერნიის ყაზახის მაზრის უფროსის ყანჩელს; კოლეჟსკი სოვეტნიკობა განჯის საგუბერნიო სამმართველოს წევრს სარაჯიშვილს, რაჭის მაზრის უფროსის თანაშემწეს ჯაჯანაშვილს; ნადვორნი სოვეტნიკობა: განჯის გუბერნიის ზანგეზურის მომრიგებელ შუამავალს მელიქიშვილს, ერევნის გუბერნიის გუმბრის მაზრის უფროსის თანაშემწეს თავ. ანდრონიკაშვილს, სიღნაღის მაზრის ყვარლის ბოქაულს გომელაურს; ტიტულიარნი სოვეტნიკობა: ერევნის გუბერნიის შარურო-დარალაგეზის მომრიგებელ შუამავალს თავ. ნაკაშიძეს, შორაპნის სამაზრო გამგეობის საქმის მწარმოებელს დევდარიანს, ქ. სიღნაღის ბოქაულის თანაშემწეს ზალდასტანიშვილს; კოლეჟსკი სეკრეტრობა—ქუთაისის სამაზრო გამგეობის მე-X კლასის მოხელეს ოქროპირიძეს; გუბერნსკი სეკრეტრობა—შორაპნის მაზრის მე-2 განყოფილების მომრიგებელ-შუამავალს თავ. დადეშქელიანს, ქ. ქუთაისის საპოლიციო გამგეობის საქმის მწარმოებლის თანაშემწეს ხეჯაშვილს, თელავის სამაზრო საპოლიციო გამგეობის რეგისტრატორს და არქივარიუს—ნარეკლიშვილს, ახალქალაქის სამაზრო საპოლიციო გამგეობის თარჯიმანს მორთულაძეს, სამაზრო საპოლიციო გამგეობის კანცელარიის მოხელეებს: ქუთაისისა—საყვარელიძეს, შორაპნისა—ჩინჩალაძეს, ქ. ქუთაისის საპოლიციო გამგეობის მოხელეს—საყვარელიძეს; კოლეჟსკი რეგისტრატორობა: ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელს—ჯაშის, ტფილისის საგუბერნიო გამგეობის საქმის მწარმოებლის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელს—ჩახნაშვილს, ქუთაისის საგუბერნიო გამგეობის კანცელარიის მოხელეს—ღოღობერიძეს, თიანეთის სამაზრო საპოლიციო გამგეობის საქმის-მწარმოებელს ნამორაძეს, რაჭის სამაზრო გამგეობის მე-X კლასის მოხელეს გოცირიძეს, თიანეთის სამაზრო საპოლიციო გამგეობის მოხელეს მათურელს, შორაპნის სამაზრო გამ-

## ფელეტონი

—

**ვოლტერი და კალასის საქმე.**

(სასამართლოს შეცდომა)

ამ ბოლო დროს საფრანგეთში მომხდარი ამბავი დრეიფუსის საქმისა ძლიერ წააგავს კალასის საქმის ამბავს, რომელიც მოხდა საფრანგეთშივე 135 წლის წინად. მაშინ ქალაქ ტულუზას სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაწყვიტა სრულიად უდანაშაულო კაცს, ივანე კალასს. საბრალო ივანე კალასი მართლაც რომ გამოასალმეს წუთი-სოფელს, თუმცა სრულიად არავითარი დანაშაული არ მიუძღვოდა. ეხლა საფრანგეთში ბევრნი ამტკიცებენ, რომ დრეიფუსსაც არავითარი დანაშაული არ მიუძღვის. იმ დროს უდანაშაულო კალასის დაცვა იკისრა სახელოვანმა მწერალმა ვოლტერმა; ეხლა-კი დრეიფუსის დაცვა თავს იდვა საფრანგეთის ეხლანდელმა მწერალმა—ემილ ზოლამ. მართალია, იმას ვერ ვიტყვით, რომ კალასისა და დრეიფუსის საქმე ერთი და იგივე იყოს, ყველაფერში ერთი მეორეს წააგავდეს. დრეიფუსი რომ მართლა უდანაშაულო აღმოჩნდეს, იმისი ტანჯვა მაინც ვერ შეედრება კალასის ტანჯვას. გარდა ამისა, კალასის უდანაშაულობა დამტკიცდა კიდეც, ხოლო დრეიფუსის საქმე ჯერ არ გადაწყვეტილა. ხოლო ორსავე ამ საქმეში საყურადღებო ის არის, რომ მაშინაც და ეხლაც გასამართლებულის კაცის დაცვა იკისრეს სახელოვანმა მწერლებმა. ვოლტერი სრულიად მართალი იყო კალასის საქმეში; მართალია ზოლა დრეიფუსის საქმეში თუ არა, ამას მომავალი დაგვანახვებს.

მთელმა საფრანგეთმა მოიგონა ეხლა კალასის საქმე და ამ საქმეზე მრავალი წერილი იბეჭდება ჟურნალ-გაზეთებში. გვგონია, რომ ჩვენმა მკითხველებმა არ იციან კალასის საქმე, რომელიც საყურადღებოდ მიგვაჩნია.

ივანე კალასი დაიბადა 1698 წელს ლანგედოკში. იმის მშობლები ლოტრანგები იყვნენ. ამ გარემოებას იმიტომ ვიხსენიებთ, რომ კალასის სარწმუნოება წარმოადგენდა ღერძს, რომელზედაც დატრიალდა საზარელი შეცდომა მართლ-მსაჯულებისა. 1737 წელს ივანე კალასმა ცოლად შეირთო ლოტრანგივე ქალი ანნა-როზა კაბაბენი, დასახლდა ტულუზაში და დაიწყო ვაჭრობა. კალასს ექვსი შვილი ჰყავდა—სამი ვაჟი და სამი ქალი. პატიოსანს ვაჭარს კალასს ყველანი იცნობდნენ ტულუზაში; ყველა პატივსა სცემდა; 63 წლამდე იცოცხლა და მთელს ქალაქში ყველას უყვარდა. კალასის ერთმა ვაჟიშვილმა ლუიმ კათოლიკეთა სარწმუნოება მიიღო. შესაძლებელი იყო, რომ სარწმუნოების გამოცვლა შვილის მიერ ძლიერ გააჯავრებდა მამას და შვილს გაუწყრებოდა. მაგრამ კალასმა წარბიც არ შეიხარა. იმ დროს ასეთი ამბავი სწორედ რომ საოცარი იყო. პირიქით, კალასმა სთქვა, თუ ჩემმა შვილმა გულწრფელად გამოიცვალა სარწმუნოება, საქებარიც არის, რადგანაც რა საჭიროა, კაცი გულში ერთს სარწმუნოებას აღიარებდეს და სხვას-კი არწმუნებდეს, მტკიცე ვარ მამა-პაპის სარწმუნოებაზეო. კალასს ერთი მოხუცი მოახლე ჰყავდა, კათოლიკეთა სარწმუნოებისა, სხვათა შორის, ამ დედაკაცის ბრალიც იყო, რომ ლუიმ კათოლიკეთა სარწმუნოება მიიღო. კალასმა ეს მოსამსახურე დედაკაციც არ დაითხოვა. ყოველივე ეს კარგად იცოდა მთელმა ტულუზამ.

კალასის ერთი შვილი მარკ-ანტუანი რალაც უბედო გამოდგა. სწავლა-განათლება კარგი ჰქონდა მიღებული და არ უნდოდა ვაჭრობისათვის მოეკიდნა ხელი. მარკ-ანტუანმა მოინდომა ვექილობა, მაგრამ თუ კათოლიკეთა სარწმუნოებას არ მიიღებდა, ისე ვექილობის უფლებას არ მისცემდნენ. ხოლო სარწმუნოების გამოცვლა მარკ-ანტუანს არ უნდოდა. მარკ-ანტუანი ძლიერ იტანჯებოდა. მუდამ დაღვრემილი და მოწყენილი იყო. ხანდახან თავის გასართობად აჰყვებოდა ხოლმე ქეიფსა და ქაღალდის თამაშობას; ბოლოს ხშირად დაიწყო ლაპარაკი თავის მოკვლაზე. 3 ოქტომბერს 1761 წელს მამამ კარგა დიდი ფული მიანდო შვილს, რომლისათვისაც მარკ-ანტუანს ფული უნდა მოეგებინა. მარკ-ანტუანმა ფული ქაღალდის თამაშობაში წააგო და ეს ამბავი მამას დაუმალა. იმ დღეს კალასსთან სადილად იყო ახალგაზდა კაცი სახელად ლავეისი. სადილის შემდეგ მარკ-ანტუანი გარედ გავიდა, ლავეისი-კი საღამოს 10 საათამდე დარჩა. მერე გამოემშვიდობა მასპინძელს და შინ წავიდა. ლავეისი გააცილა კალასის უნცროსმა შვილმა და სანთლით გზას უნათებდა. დუქნის კარები რომ შეაღეს, დაინახეს, რომ მარკ-ანტუანი ჩამომრჩვალი ეკიდა თოკზე.

ასტეხეს ხმაურობა, შეგროვდა ხალხი, მოვიდნენ მკურნალი და პოლიცია. გამომძიებელი დავით დე-ბორიგი, რომელსაც ეს საქმე ჩააბარეს, სრულებით არ იყო ბოროტი კაცი, ხოლო ძლიერ უნდოდა სამსახურში დაწინაურება. გამოსაძიებლად, რომ მოვიდა და მოწმეებს პირველად ართმევდა ჩვენებას, ვიღაცამ დაიძახა: „კალასებმა თითონ მოჰკლეს თავიანთი შვილიო“. ამ სულელურმა სიტყვებმა გამომძიებელს გზა-კვალი აურიეს. მართლაცა და ასე იფიქრა გამომძიებელმა, კალასები ლოტრანგები არიან, ერთმა შვილმა უკვე კათოლიკეთა სარწმუნოება მიიღო. კალასები ისე მოიქცნენ, ვითომ აქ არაფერიაო, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, რომ ეს ამბავი გულში ძლიერა სწყინდათ. და აი ეხლა მეორე შვილმაც ვექილობა მოიწადინა და იმასაც კათოლიკეთა სარწმუნოება უნდა მიეღო. ეს-კი ველარ მოითმინეს კალასებმა და, ეჭვი არ არის, მარკ-ანტუანი მოჰკლესო. გამომძიებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორის თარჯიმანს დვალის, ზუგდიდის სამაზრო გამგეობის კანცელარიის მოხელეს შენგელიას და ახალქალაქის ბოქაულის თანაშემწეს თავ. ჯავახიშვილს.

დანიშნულ იქნა ყარსის ოლქის გამგეობის თარჯიმანი ზალდასტანიშვილი—არდაგანის ოლქის გულის ნაწილის გამგეობას საქმის-მწარმოებლად.

# ახალი ამბავი

⁂ გუშინ, 5 თებერვალს, ქალაქის გამგეობას ხმოსნებმა ა. ს. ბაგდასაროვმა, ა. ს. ბაბოვმა და ა. ბ. ევანგულოვმა განუცხადეს, თანხმანი ვართ სასანიტარო მზრუნველების თანამდებობა ვიკისროთო.

⁂ გუშინ, 5 თებერვალს, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულმა მიჰმართა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას და მოსთხოვა, რაც შეიძლება მალე წარმოადგინეთ ცნობანი ტფილისის საბაღოსნო სკოლის შესახებ, რამდენი მოწაფე სწავლობდა გასულ წელს და რამდენი ფული დახარჯულა ამ სასწავლებელზე.

ამასთანავე რწმუნებულმა შეატყობინა სამეურნეო საზოგადოებას, რომ მიწად მოქმედების დეპარტამენტის ხარჯთ-აღრიცხვა ჯერ დამტკიცებული არ არის მინისტრის მიერ და ამიტომ სკოლისათვის საჭირო ფული ჯერ გადადებული არ არისო.

⁂ ტფილისის ბავშვთა მზრუნველი საზოგადოება სთხოვს ქალაქის მოურავს ალექსანდრეს ბაღის ქვემო ნაწილი დაგვითმეთო. საზოგადოებას აზრადა აქვს ბაღში გამართოს ბავშვთათვის სათამაშო ალაგი.

⁂ ტფილისის გუბ. ქალაქის საქმეთა საკრებულოს მდივანი ბ-ნი კავალენსკი, როგორც შევიტყეთ, სამსახურს თავს ანებებს.

⁂ ქალაქის გამგეობამ უკანასკნელს სხდომაზე დაამთავრა ქალაქის 1899 წლ. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და ამ დღეებში საბჭოს საფინანსო კომისიას გადასცემს განსახილველად.

⁂ ტყის და ბაღების გამშენებელმა კომისიამ დაადგინა ყორყანოვის მეიდანზე, პოლიციის მეცხრე ნაწილში, გააშენოს ბაღი.

⁂ 5 თებერვლისათვის დანიშნული იყო კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგურში კრება, რომელსაც უნდა განეხილა, როგორ უნდა იყოს შეცვლილი თამბაქოზე აქციზის წესდება. ეს კრება გადაიდო 9 თებერვლისათვის.

⁂ კავკასიის სამკურნალო ნაწილის გამგეობას გარდაეცა 3,582 მან. 70 კაპ. ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს იმ შენობის გასაფართოვებლად, სადაც სულით ავადმყოფთა სადგომია მოთავსებული.

⁂ ქ. ტფილისის თვით-მართველობის შუამდგომლობა ავლაბარში გიმნაზიის დაარსების შესახებ უკვე გაეგზავნა განსახილველად უმაღლეს მთავრობას.

⁂ ამას წინად ადგილობრივი გაზეთები სწერდნენ, რომ თავ. კ. ი. მუხრან ბატონის მუხრანის მამული საუფლისწულო უწყებამ შეიძინაო. როგორც შევიტყეთ, თუმცა მოლაპარაკება ამის შესახებ საუფლისწულო უწყებასა და თავ. მუხრან-ბატონის შორის ყოფილა, მაგრამ ხსენებული მამული საუფლისწულო უწყებას არ შეუძენია.

⁂ დღეს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ, საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილების სადგომში გამართული იქმნება საუბარი ბაღოსნობის შესახებ; შემდეგ მოხდება მორიგი კრება საზოგადოებისა. კრებამ უნდა მოისმინოს ბ-ნ ბაბანასოვის მოხსენება ამერიკულის ვაზის შესახებ.

⁂ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ მიწად-მოქმედების დეპარტამენტისაგან მოწერილობა მიიღო, რომლითაც დეპარტამენტი ავალებს საზოგადოებას ორის წლის განმავლობაში მოაწყოს ტფილისის საბაღოსნო სკოლის საქმეები. სხვათა შორის ამ მოწერილობაში ნათქვამია: „როგორც სამინისტროს მიერ მიღებულის ცნობებიდგანა სჩანს, ტფილისის საბაღოსნო სკოლა ამ ჟამად ცუდს მდგომარეობაშია. სადგომი ვიწროა, ზოგი შენობა დამთავრებული არ არის, სკოლას ვალები აქვს, ბევრი რამ აკლია, როგორც, მაგ., იარაღი და სხვა. ცუდად არის აგრეთვე დაყენებული სწავლა-აღზრდის საქმეც; მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის ვერ ჰსუფევს კარგი განწყობილება“. ყველა ამის გამო მიწად-მოქმედების მინისტრმა დაუნიშნა საზოგადოებას ორის წლის ვადა, რომლის განმავლობაშიაც საზოგადოებამ უნდა მოაწყოს სკოლის საქმეები; სახელდობრ: 1) გაისტუმროს ყველა ვალები; 2, შეაკეთოს შენობა და გამართოს სარდაფი, 3, განაახლოს ცეცხლისაგან დაზარალებული შენობანი, გამართოს აბანო, სამრეცხაო, სახელოსნო და ახალი სამზარეულო და შემოავლოს გალავანი სკოლასაო.

⁂ ტყეთა დეპარტამენტმა, გაზეთების სიტყვით საყოველთაო მიწერილობა გაუგზავნა კავკასიის ყველა იმ კომიტეტებს, რომელთაც ტყეების დაცვა-შენახვის საქმე აქვთ მინდობილი და სთხოვა გვაცნობეთ თქვენი მოსაზრებანი აწინდელს დებულებაში ტყეების დაცვის შესახებ რა ცვლილებათა შეტანა არის საჭირო და გამოგვიგზავნეთ ცნობები იმ ტყეების რაოდენობის შესახებ, რომელთა აჩეხა-განადგურებაც აღკრძალულია.

⁂ ესაული რემიზოვი დანიშნულ იქმნა ბორჩალოს მაზრის უფროსად.

⁂ დ. ხონიდგან გვატყობინებენ, რომ იქ ძლიერ გავრცელებული ყოფილა სხვა-და-სხვა ავადმყოფობა.

⁂ ფოთიდგან სწერენ „ახ. მიმ.“-ს, რომ 2 თებერვალს აქ მოვიდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-მაიორი გერშელმანი. ბ-ნმა გუბერნატორმა დაათვალიერა სხვადასხვა სასწავლებლებიო.

⁂ „კავკ.“-ის სიტყვით, სიღნაღის მაზრის სოფ. ველისციხის მცხოვრებთ შუამდგომლობა აღძრეს ფოსტათა და ტელეგრაფთა მთავარ-სამმართველოს წინაშე იმის შესახებ, რომ სოფ. მუკუზანში არსებული საფოსტო სადგური ველისციხეში იქმნას გადატანილი და ტელეგრაფი იქმნას იქ გამართული.

⁂ „ტფ. ფურც.“-ს სწერენ დუშეთის მაზრიდგან: ამ მაზრის ტარტალის სოფლის საზოგადოების მცხოვრებთ შუამდგომლობა აღძრეს კავკასიის მთავარ-მართებლის წინაშე იმის შესახებ, რომ ახალციხის მაზრის იმ ადგილებში გადასახლების ნება მიეცეთ მათ, სადაც წინად დუხაბორები სცხოვრობდნენ.

⁂ ქუთაისი. ორშაბათს, 8 თებერვალს, აქაურმა საბჭომ უნდა განიხილოს წინადადება ცნობილის „ბელგიის უსახელო საზოგადოებისა“ ქუთაისში ელექტრონის რკინის გზის გაყვანის შესახებ, წინადადება, რომელიც ამ ერთის თვის წინად ამა საბჭომ უარ-ჰყო და რომელიც მას შემდეგ თითქმის არ შეცვლილა.

⁂ ს. ტობანიერი, (ქუთაისის მაზრა). აქ ახლო-მახლო სოფლებში იჩინა თავი სურდო-ხველამ და მჭვალმა, ბევრი კიდეც გამოათხოვა წუთი სოფელს: ამ ერთი კვირის განმავლობაში ხუთამდე გარდაიცვალა. მეტად შეწუხებულია ჩვენი სოფლები უექიმობით; გაჭირვების დროს უნდა მივმართოთ ს. კულაშში 15 ვერსის მანძილზე მკურნალს ბ-ნ გინცბურგს, რომელიც მეტად კეთილი კაცია და შებრალებით ეკიდება ყოველს გაჭირვებულსა და ღარიბს კაცს. სწორედ მადლობის ღირსია ეს პატივცემული კაცი. მაგ., კულაშიდგან ტობანიერამდის წასვლისთვის 5 მანეთზედ მეტს არ იღებს, როდესაც სხვანი ათ მანეთსაც ძლივსა სჯერდებოდნენ.

⁂ „ახ. მიმ.“-ს სწერენ გორიდგან, რომ ადგილობრივმა თვით-მართველობამ დაადგინა მიიღოს შესაფერი ზომები მტკვრის, ლიახვის და ფშანის ადიდებისაგან ქალაქის უზრუნველ-საყოფელად. ქალაქის მოურავმა შუამდგომლობა აღძრა საგუბერნიო მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ მცოდნე კაცი იქმნას გაგზავნილი ამ საქმის მოსაწყობად.

⁂ კავკასიის სამკურნალო ნაწილის გამგეობას, როგორც „ახ. მიმ.“ იუწყება, გარდაეცა განსახილველად დაბა ელენენდორფში განზრახული სანატორიის წესდების პროექტი.

⁂ ავჭალის ქვის ბორდაპირ, რკინის-გზის ლიანდაგის მეორე მხარეს მცხოვრებთ გამოუცხადეს ქალაქის მოურავს, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ გამართა ლიანდაგთან ღობე და ამ რიგად სრულიად გააუქმა აქ არსებული გასავალი გზაო. მცხოვრებნი სთხოვენ მოურავს, მოელაპარაკეთ რკინის გზის გამგეობას, რომ ამ ადგილას გასასვლელი გზა გამართოსო.

⁂ „ახ. მიმ.“ სწერს: თამამშევის ქარვასლაში კარგა ხანია ვაჭრობს პ-ვი, რომელსაც განყოფილება სასახლის ქუჩაზედ სარაჯევის სახლშიაცა აქვს. ორივე მაღაზიის ნახევარი საქონელი ეკუთვნის ახალგაზრდა ვაჭარს ი—ვსს, რადგანაც ისინი ამხანაგები არიან. ამ უკანასკნელ დროს ვ.—ს

---

დავითი ამ გზას დაადგა და რაკი თითონ დარწმუნებული იყო კალასების ვინაობაში, გამოძიების საქმეც ისე წაიყვანა, რომ მსაჯულნიც დაერწმუნებინა, დამნაშავენი არიანო. მაგალითად, გამომძიებელმა ჩასწერა ჩვენება მხატვარის მატეისა, რომელმაც სთქვა, ჩემმა ცოლმა გაიგონა, რომ ერთმა კაცმა, სახელად მანდრილმა, სთქვა, ყური მოვკარი მარკ-ანტუანის ყვირილსა, ისე ყვიროდა, თითქოს არჩობდნენო. გამომძიებელმა ეს ჩვენება-კი ჩასწერა, ხოლო იმ მოწმეთ, რომელნიც მიდიოდნენ გამომძიებელთან კალასების სასარგებლოდ ჩვენების მისაცემათ, არც-კი მოუსმენდა ხოლმე. ეს გარემოება საქმის ხელ მეორედ განხილვის დროს დამტკიცდა. მარკ-ანტუანის გვამი დაასაფლავეს დიდის ამბით, ხოლო კალასი მთელის ოჯახობითა და ლავეისიც საპატიმროში დაამატიმრეს.

ხალხს განძრახ აღელვებდნენ ბრალდებულთა წინააღმდეგ. სასამართლოს ერთმა ბრალმდებელმა ქაღალდი შეიტანა სასამართლოში და ამტკიცებდა, გამოძიება წესიერი არ იყოვო. სასამართლომ ეს იწყინა და სამის თვით სამსახურის ასრულება აუკრძალა ბრალმდებელს. გამომძიებელთა ძამასახლისს უნდოდა, კალასის საქმის გამოძიება წესიერად ყოფილიყო ნაწარმოები. ამასაც ბრალი დასდეს, დამნაშავეებს ესარჩლებაო. ამ გვარად სასამართლო ისე იქცეოდა, თითქოს წინადვე დარწმუნებული იყო კალასის მთელის ოჯახობის დანაშაულში. საქმის გარჩევამ 10 დღეს გასტანა. მსაჯულებმა რვა ხმის უმეტესობით წინააღმდეგ ხუთის ხმისა გადასწყვიტეს ივანე კალასი ჯერ ვაწამოთ და მერე სიკვდილით დავსაჯოთო. სჩანს მსაჯულთ სინიდისი აწუხებდათ და იფიქრეს, შეიძლება 63 წლის კაცმა წამებას ვერ გაუძლოს და თუ დამნაშავეა, თვისი დანაშაული აღიაროს, თუ არა და იქმნება წამებისა შეეშინდეს და ის დანაშაული იდვას თავზე, რომელიც არ ჩაუდენიაო. მაგრამ მსაჯულები მოსტყუვდნენ ვერც წამებამ და ვერც სიკვდილმა კალასს ვერ ათქმევინეს ვერაფერი ამ სიტყვების გარდა: „მე უდანაშაულო ვარ“. სარჩობელაზე რომ აიყვანეს, მღვდელმა უთხრა, „მოინანიე შენი ცოდვაო.“ „მამაო,—უპასუხა კალასმა,—ნუ თუ თქვენ გგონიათ, რომ ძამას შეუძლიან თავისის შვილის მოკვლა“?

კალასის სიკვდილის შემდეგ მსაჯულნი ცუდს ყოფაში ჩაცვივდნენ. ხელში შერჩათ კიდევ კალასის ცოლი, შვილები და იმათი მეგობარი ლავეისი; ყველა ესენიც, საცა სამართალია, დამნაშავენი უნდა ყოფილიყვნენ. როგორ უნდა მოჰქცეოდნენ იმათ? სჩანს, მსაჯულებს სინიდისი სტანჯავდა. იფიქრეს და გადასწყვიტეს, პასუხის გებისაგან განვათავისუფლოთო. მაგრამ ეს არც ისე ადვილი იყო. თუ ესენი დამნაშავენი არ იყვნენ, სჩანს კალასიც უდანაშაულო იყო. და თუ კალასი დამნაშავედ იქმნა აღიარებული, მაშინ ესენიც დამნაშავენი ყოფილან და უნდა დაისაჯნენ. მსაჯულებმა გააუქმეს თავიანთი განაჩენი. ბევრი იფიქრეს, როგორ მოვიქცეთო და ბოლოს გადასწყვიტეს კალასის შვილის პიერის განდევნა საფრანგეთიდგან.

როცა ეს საქმე ირჩეოდა, ვოლტერი ფერნეიში იყო, თავისს მამულში. ვოლტერმა აქ შეიტყო გარდაწყვეტილება ტულუზის სასამართლოსი და როგორცა სჩანს, დარწმუნებული იყო კალასის დანაშაულში. 1762 წელს 22 მარტს ვოლტერი სწერდა თავისს მეგობარს ლებოს: „უეჭველია, გაგონილი გექმნებათ ამბავი ერთის კეთილის გუგენოტისა, რომელსაც ტულუზის სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა შვილის ჩამორჩობისათვის. ვინ იცის, იქმნება ამ წმიდა რეფორმატორს ეგონა, ძლიერ კეთილი საქმე ჩავიდინე, რადგანაც ჩემს შვილს სარწმუნო ბის გამოცვლა უნდოდაო. მან თვისი შვილი მსხვერპლად შესწირა ღმერთს და იქმნება ჰფიქრობდა კიდეც, რომ აბრაამზე მაღლა ვდგევარ, ვინაიდგან აბრაამს ღმერთმა უბძანა მსხვერპლის შეწირვა და მე კი თითონ ჩემის სურვილით შევსწირე მსხვერპლიო.“ ამ სიტყვებიდგანა სჩანს, რომ ვოლტერი დარწმუნებული იყო კალასის დანაშაულში. მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ ვოლტერს შეხვდა ერთი ტულუზელი ვაჭარი, რომელმაც უამბო დაწვრილებით ყოველივე გარემოება კალასის საქმისა: მერე კიდევ ვოლტერმა ჰნახა ივანე კალასის შვილი პიერი და დარწმუნდა კალასის უდანაშაულობაში. ხოლო ასეთი რწმენა ხომ საკმარისი არ იყო და ვოლტერი მხნედ შეუდგა კალასის სიმართლის საბუთების ძებნას. რამდენი შრომა გამოიარა ვოლტერმა ამ საბუთების შესაკრებად, შემდეგი სიტყვები ამტკიცებს: „რომ იცოდეთ, რამდენი შრომა დამჭირდა ორიოდე საბუთის მოსაპოვებლად კალასების სიმართლის დასამტკიცებლად, სწორედ გაოცდებოდით. რომელმა ბოროტმა ბედმა მოაგვარა ისე საქმე, რომ ამდენ ხალხის გამტყუნება ადვილი იყო და გამართლება კი ძლიერ ძნელი“.

მართლაც და ყოვლად შეუძლებელია ამ მცირე ფელეტონში აღწერა ყოველის იმ შრომისა, რომელიც მიუძღვის ვოლტერს ამ საქმეში. საკმარისია ვსთქვათ, რომ ვოლტერმა მთელი საფრანგეთი შესძრა, თითქმის მთელი ევროპა და ისე ააღელვა ხალხი, რომ ყოვლად შეუძლებელი შეიქმნა კალასის საქმე ხელ მეორედ არ განეხილათ.

განიხილა კიდეც სასამართლომ ეს საქმე და სიკვდილით დასჯილი ივანე კალასი და იმისი ოჯახობა უდანაშაულებად იქმნენ აღიარებულნი.

1778 წელს რომ ვოლტერი პარიჟში მივიდა, ქუჩაში აუარებელი ხალხი მიეგება ალტაცებით.

— ვინ არის ეგ კაციო,—ჰკითხა ერთს მოხუცებულს დედაკაცს ერთმა ახალგაზდა ქალმა.

— როგორ, განა არ იცნობთ?—უპასუხა მოხუცმა,—ეგ ის კაცია, კალასის ოჯახობა რომ დაიხსნა...

ნ.

ყოფა-ქცევა საეჭვოდ მიიჩნია ი-ვმა და ყურადღება მიაქცია თავის ამხანაგს ამ რამდენისამე დღის წინად ი-ვმა მიატანა პ.-ს, როდესაც ეს უკანასკნელი ურიგდებოდა და მიყიდვას უპირებდა ორსავე მაღაზიას, როგორც თავის საკუთრებას, ვიღაც გორის მცხოვრებელს. მაშინვე შეატყობინეს ყოველივე სასამართლოს ბოქაულს, რომელმაც მაღაზიებში საქონელი დაბეჭდა. გამოირკვა, რომ პ-ვს უკვე გილდიის მოწმობა აეღო გორის მცხოვრებელისათვის და ხელშეკრულებაც დაედო იმასთან საქონლის მიყიდვის შესახებ. ამასთან პ-ვს ბილეთიც შეეძინა ქალაქიდგან გასასკლელად. ორსავე მაღაზიაში 100,000 მანეთის საქონელი ყოფილა.

*** 5 თებერვალს ტფილისის უმთავრეს ატუსაღოში სულ 300 ტუსაღი იყო, ხოლო მეტეხის საპყრობილეში—514 ტუსაღი.

*** „ტფ. ფ.“-ს გორიდგან სწერენ, რომ 2 თებერვალს, ღამე, ცეცხლი წაეკიდა ლამბაროვის წისქვილსაო. წისქვილი და რამდენიმე სხვა შენობაც ცეცხლმა სრულიად გაანადგურა. მოსულმა ჯარის-კაცებმა საქმეს ვერაფერი უშველეს. ჰფიქრობენ, რომ ცეცხლი ბოროტის განზრახვით წაუკიდეს. შენობის გარდა დაიღუპა 3,000 ფუთი ხორბლეულობა და მრავალი ხე-ტყე. შენობა დაზღვეული არ იყო.

*** მკითხველებს ეხსომებათ უეჭველად, რომ 1897 წ. 8 აგვ. დაიკარგა ტფილისის საფოსტო კანტორიდგან იგდირის ხაზინაში გაგზავნილი 50ათასი მან.ფულები,როგორც ვუწყით,მიიტანეს ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელე ნიკოლოზ ორჯონიკიძესა და იმის ძმა გედევან ორჯონიკიძეზედ. ეს საქმე ტფილისის ოლქის სასამართლოში ამ ახლო მომავალს გაირჩევა. მოპარულის ფულიდგან ორჯონიკიძეს 30 ათასი მანეთი გადაუცია კანდრატიევისათვის. ბრალდებულნი დაპატიმრებული არიან.

*** საქმე თავ. შიხი ტუსიშვილისა, თავ. ბარათაშვილისა, ოსიტოვისა და ტერ-შმოვანოვისა, რომელთაც დავით გაბაშვილის მოკვლა ჰბრალდებათ, დანიშნულია განსახილველად ოლქის სასამართლოში 22 თებერვლისთვის. თავმჯდომარედ დანიშნულია ე. ი. ბურგარდტი, წევრებად ა. ვ. პადალკო და საპატიო მომრიგებელი მოსამართლე ა. ა. შმერლინგი, ბრალმდებელად ა. ა. მოსევიჩი. ბრალდებულთ დაიცავენ პეტერბურგელი ნაფიცი ვექილი ბ-ნი ანდრეევსკი და ადგილობრივი ნაფიცი ვექილები ბ-ნნი ოპოჩინინი, ჩემესოვი და ნაფიცი ვექილის თანაშემწე გრუზენბერგი.

*** ამ დღეებში ქალაქის დედათა საავადმყოფოში ერთს ავადმყოფს ეყოლა ბავშვი, რომელსაც ერთი ფეხი ჰქონდა და ერთ ხელზედაკ ექვსი თითიება, ბავშვი მალე გარდაიცვალა.

*** 5 თებერვალს, ღამის 1 საათზედ, კახეთის ქუჩაზედ, ტიხანოვის სახლში, დუქანში პოლიციელთ შეიპყრეს ორი ქურდი ტფილისის მცხოვრებელნი გეურქ ასლამაზოვი და ბაგრატ მიკირტუმოვი, რომელნიც დუქანში შესულიყვნენ, ნივთები შეეკრათ ბოხჩაში და წასვლას აპირებდნენ.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. ვანი, (ქუთაისის მაზრა).** 23 იანვარს ს. ვანში შტატს გარეშე მღვდლის გიორგი მამასახლისისას, შემდეგი უბედურება მოხდა: მღვდლის შვილს, მედავითნე პორფირე მამასახლისს სწვევოდა სტუმარი. მასპინძელს სტუმრის ცხენი დიდს საჯალაბო სახლში დაება. დილით, როდესაც მასპინძელი პორფირე წაღუნული იყო და პირს იბანდა ამ საჯალაბო სახლში, ამ დროს უეცრად ცხენს წამოეჭცია იქვე მიყუდებული მუხის კვერთელა კიბე, რომელიც დასცემოდა მასპინძელს გოსერზე და მოეყოლებინა ქვეშ. მაშინვე მოიწვიეს ექიმი, მაგრამ ვერ უშველა, რადგანაც სისხლი ტვინში აკარდნოდა. საბრალო მესამე დღეს გარდაიცვალა.

აქეთ კარგი ამინდები სდგას; ზამთარი არც-კი გვინახავს. ასეთმა ზამთარმა წაათამამა ხალხი და სიცივეს აღარ ერიდებიან. გახშირდა სხვა-და-სხვა ავადმყოფობა და ხშირი სიკვდილი.

ვანიდგან ოზნიბუსი ამდენხანს დილით გადიოდა სამტრედიაში, ეხლა-კი შუადღემდის აღარ გადის და ქუთაისში წამსვლელმა მოგზაურმა ღამე უნდა სამტრედიაში გაათიოს, რაც მეტად შესაწუხებელია მოგზაურთათვის, მეტადრე დედათა სქესთათვის. კარგი იქნება, ჩვენი ამხანაგობა თუ არ აურ დაურევს და ისევ ძველს გზას დაადგება. ვანიდგან ტობანიერამდე და ტობანიერიდგან სამტრედიამდე გზები რამდენიმე ადგილას მეტად წახდა; ნახევარის ადლის სიმაღლეზედ ვარდება ტალახში ეტლი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გაზაფხულამდის ჩვენი მამასახლისები ასე არ დასტოვებენ ამ გზებს.

სიმინდის ვაჭრობა გაჩაღდა აქეთ: აუარებელი სიმინდი მიაქვთ სამტრედიაში, სადაც ფუთი იყიდება ორ აბაზად. არც ღვინო არის აქედ მეიჩრ. კარგს ღვინოს იყიდის კაცი ჩაფს (17 ბოთლის) ორ მანეთად.

ვლადი ბზვანელი

# რუსეთი

—

ამას წინად სჯულის საქმეთა სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ოლქის სასამართლოს წევრებს ჯამაგირი მოემატოთ. დღემდის მათ 2,200 მანეთი ჰქონდათ წელიწადში ჯამაგირი. „Рус. Вѣд.“ ს სიტყვით, ეს შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა და ამიერიდგან ოლქის სასამართლოს წევრებს ჯამაგირი 2,700 მანეთი ექმნებათ.

— აზრადა აქვთ წელს მოახდინონ სრულიად რუსეთის თევზის მწარმოებელთა კრება. კრება მოხდება ქალაქ მოსკოვში.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს, როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, პროექტი შეაქვს სახელმწიფო საბჭოში იმის შესახებ, რომ ველოსიპედებს გადასახადი დაედოს. აზრადა აქვთ თითო ველოსიპედს გადასახადი წელიწადში 10 მანეთი დაადონ. ეს გარდასახადი ქალაქების სასარგებლოდ იქმნება დაწესებული.

— 1902 წელს შესრულდება სწორედ ასი წელიწადი, რაც რუსეთში საერო განათლების სამინისტრო იქმნა დაწესებული. აზრადა აქვთ ამ წლისათვის შეადგინონ ვრცელი მიმოხილვა ამ სამინისტროს მოქმედებისა ასის წლის განმავლობაში. ამ საქმის სისრულეში მოსაყვანად სამინისტროსთან შესდგა განსაკუთრებული კომისია.

— აზრადა აქვთ ციმბირის ერთერთს დიდ ქალაქში დააარსონ საინჟინერო სასწავლებელი.

# უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** ბელგიიდგან დაწერილებითი ცნობები მოსდის გაზეთებს, რომ საფრანგეთის არეულ-დარეულმა საქმეებმა ერთობ გაუღვიძეს იმედები ბონაპარტელებს და ბრიუსელში დიდის გულმოდგინებით ემზადებიან ყოველ გვარ შემთხვევისათვის. უკანასკნელ რამდენიმე კვირის განმავლობაში ბონაპარტელების მრავალი მოთავე მისულა ბრიუსელში. პრინც ვიქტორ-ნაპოლეონს დიდი იმედი აქვს თურმე საფრანგეთის მხედრობისა, რომელიც, როგორც ვიცით, გულნატკენია ესტერჰაზის მთავრობაზედ დრეიფუსის საქმის გამო. ამ დღეებში პარიჟში მისულა ერთი ბელგიელი დიდი კაცი; მისის სიტყვით, ბონაპარტელები დარწმუნებულნი არიან, რომ ბედმა ეხლა გაგვიღიმა ჩვენო, და სახელმწიფო წეს-წყობილების ცვლილებას დღე-დღეზედ მოელიან საფრანგეთში. მეორეს მხრით, აქამდე უფულობა უშლიდა ხელს ბონაპარტელებს, მაგრამ ეხლა, როგორც ამბობენ, ეს დაბრკოლება მოუშორებიათ თავიდგან: უკანასკნელ ხანებში 20 მილიონი ფრანკი შეუგროვებიათ თავიანთ პოლიტიკურ მისწრაფებათა განსახორციელებლად. ყველაზედ მომეტებული ფული შეუტანიათ პრინცს როლანდ ბონაპარტეს და მის ცოლის ძმას, ბლანს, რომელსაც იჯარით ჰქონია აღებული საყომარბაზო სახლი. ფულებს გარდა, ბლანს ის დახმარებაც აღმოუჩენია ხსენებულ დასისათვის, რომ მისის მეცადინეობით გაზეთების „Soir“-ის და „Journal“-ის ფურცლები მზად იქმნება ბონაპარტელების აგიტაციის სასარგებლოდ. ფულით დახმარება აღმოუჩენია ამავე დასისათვის, აგრეთვე რიშელიესა და ფულდის ოჯახებს. ასახელებენ აგრეთვე სხვებსაც, რომელნიც ცნობილნი არიან დიპლომატიურ და ფინანსიურს წრეებში.

საფრანგეთის მთავრობამ ყოველივე ეს ძლიერ კარგად იცის თურმე. დიუპუის დაუვალებია ბელგიის მთავრობასათვის, რომ განუშორებლივ თვალყური ადევნეთ პრინცს ნაპოლეონსო.

—

**ინგლისი.** ლიბერალურ დასის ლიდერათ ქვედა პალატაში არჩეულ იქმნა კემპბელ-ბანერმანი. ახალი მოთავე ოპოზიციისა 63 წლის კაცია, ე. ი. 9 წლით უფრო ახალგაზდა მისს წინამოადგილე ჰარკორტზედ. ბანერმანი არის გლაზგოვის მდიდარ ვაჭრის შვილი. პირველად 1868 წელში აირჩიეს იგი საზოგადოებათა პალატის დეპუტატად, ლიბერალურ დასში თვალ-საჩინო ადგილი დაიკავა მან 1871 წლიდგან, ე. ი. იმ დროიდგან, როცა გლადსტონმა პირველად იკისრა სამინისტროს შედგენა. ბანერმანი ორჯელ იყო სამხედრო სამინისტროს საფინანსო განყოფილების მდივნად, ორი წლის განმავლობაში ადმირალტეისტვოს განაგებდა, ადგილობრივ გამგეობის დეპარტამენტის პრეზიდენტად იყო, 1884—85 წ. ირლანდიის სტატს-სეკრეტარის ადგილი ეჭირა და, დასასრულ, გლადსტონის უკანასკნელად მთავარ - მინისტრობის დროს სამხედრო მინისტრად იყო. კემპბელ-ბანერმანის მეცადინეობამ გამოიწვია კემბრიჯის ჰერცოგს თავი დაენებებინა ხამსახურისათვის, რომელიც 40 წლის განმავლობაში ინგლისის მხედრობის უფროსად იყო და საჭირო ცვლილებათა შემოღებას მუდამ წინ ეღობებოდა.

—

**ბოლგარია.** როგორც გაზეთები იუწყებიან, სტოილოვის სამინისტროს დიდად აწეწილ-დაწეწილი საქმეები უანდერძებია ახალ სამინისტროსათვის. სამოც მილიონ ვალის გასასტუმრებლად არავითარი წყარო არ ყოფილა აღნიშნული და ამასთანავე პროექტი ყველა ვალების კონვერსიის შესახებ განუხორციელებელი დაუტოვებია წინანდელს მთავრობას. ეს გარემოება იმედებულ ჰყოფს ახალს სამინისტროს ახალ ვალის აღებისთვის იფიქროს. ამ საჭიროებისათვის ვაჭრობის მინისტრი ნაჩევიჩი და ფინანსთა — ტენევი ვენაში აპირებენ თურმე წასვლას, სადაც ნაჩევიჩს ძლიერ კარგად იცნობენ და ენდობიან. ბოლგარიისათვის მიუცილებლად საჭირო ყოფილა ამ ჟამად 16 მილიონი წინანდელ მოვალეების დასაკმაყოფილებლად.

გაზეთები აგრეთვე ამტკიცებენ, ვითომც გრეკოვის სამინისტროს გარდაწყვეტილი ჰქონდეს ეხლანდელი ეროვნული კრების დათხოვა და ახალ არჩევნების დანიშვნა. ეს ზომები რადოსლავოვმა მაიღებინა კაბინეტსო; იმას აზრად აქვს, ახალს არჩევნებზედ თავისი მომხრეები გაიყვანოს და შემდეგ თითონვე გახდეს კაბინეტის უფროსად.

—

**ოსმალეთი.** მაკედონიის საქმეებს, როგორც ეტყობა, ძლიერ დაუფიქრებია პორტა. გაზეთების სიტყვით, ხონთქარი ჩქარა გამოაცხადებს, რომ მაკედონიაში ცვლილებანი იქმნება შემოღებულიო. ამის მიუხედავად, მაკედონიაში 4 ახალი ბატარეა გაუგზავნია მთავრობას და უსკუბში ბატარეა და 20 ვაგონი, სხვა-და-სხვა იარაღით დატვირთული. ბოლგარიის საზღვარზედ ოსმალეთის გენერალი მიდის ჯარების დასათვალიერებლად.

# თეატრის მატიანე

„ჯან მეგობრებო!“, კომედია 4 მოქმედ., თხზ. სარდუსი.

დივერტისმენტი.

ხუთშაბათს, 4 თებერვალს, ქართულმა დრამატიულმა დასმა არტისტის გ. ვ. გედევანოვის (მირაღიანის) ბენეფისი გამართა მისის ქართულ სცენაზედ ათის წლის მოღვაწეობის სახსოვრად. ამ საღამოს წარმოდგენილი სარდუს პიესა „ჯან მეგობრებო“ პირველად ტფილისის ქართულს სცენაზედ წარმოადგინეს 1897 წელს სეზონის დასაწყისს (8 ოქტომბერს) და თითქმის როლები ისევე იყო არტისტთა შორის განაწილებული, როგორც გუშინ-წინ. პიესის ღირსება-ნაკლულევანებისა და შინაარსის შესახებ აქ არას ვიტყვით, რადგან ერთიცა და მეორეც უკვე აღნიშნული იყო ჩვენის გაზეთის თანამშრომლის მიერ შარშანწინ *).

პირველში ეს პიესა „ჰაი გიდი მეგობრებო!“ ს სახელით იყო წარმოდგენილი, გუშინ-წინ ჩვენმა დრამატიულმა დასმა არ უღალატა თავისს უცნაურს ჩვეულებას და „ჰაი გიდი მეგობრებო!“ „ჯან, მეგობრებო“-დ გარდააქცია, თითქოს ეს ყოვლად გამოუსადეგარი ცვლილება ან შინაარს შეუცვლიდა კომედიას და ან ღირსებას შეჰმატებდა. ვიქტორიენ სარდუს, ამ პიესის ავტორის ნაწარმოებს კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოება და უყვარს კიდეც. სარდუს ხელოვნება, მახვილსა და სცენის ცოდნით აღჭურვილს კალამს ეკუთვნის, გუშინ-წინ წარმოდგენილ „ჯან, მეგობრებო!“-ს გარდა, „უნდა გავიყარნეთ“, „მადამ სან-ჟენი“ და „სამშობლო“-ც იმის ამავე სახელწოდების პიესიდგან არის გადმოკეთებული. რაღა აღნიშვნა უნდა, რომ წარმოდგენაზედ დამსწრე საზოგადოებამ დიდად ისიამოვნა კომედიით და ბევრი იცინა, თუმცა ეს სიცილი აზრიანობის ელფერს სრულიად მოკლებული იყო.

რაც შეეხება წარმოდგენას, როგორც ვთქვით, ყველა მსახიობნი წინადაც გვინახავს ამ როლებში და ამჟამად მსახიობთ პიესისათვის არა შეუმატებიათ, პირ-იქით, ბ-ნმა ვ. აბაშიძემ (მარეკამ) როლი სულ არ იცოდა და ბ ნი კ. მესხიც (ექიმი ტოლოზანი) ამ საღამოს უგუნებოდ ასრულებდა თავისს როლს.

პიესის გათავების შემდეგ გაჰმართეს დივერტისმენტი, რომელშიაც ქ-ნმა გაბუნია-ცაგარლისამ ავადმყოფობისა გამო, როგორც გამოგვიცხადეს, მონაწილეობა არ მიიღო, იმის ნაცვლად ბ-ნმა აბაშიძემ წაიკითხა ორი ლექსი, ტფილისში მყოფ საოპერეტო დასის ბარიტონმა სევერსკიმ მშვენივრად იგალობა ორი რუსული რომანსი და ამავე დასის არტისტმა—კომიკმა ბოგდანოვმა—სამი კომიკური კუპლეტები, ბ-ნმა აბაშიძემ და მობენეფისემ გედევანოვმა იმღერეს „ვაი-ვაი“-ს ხმაზედ მეტად უხამსოდ, უმარილოდ და უნიჭოდ დაწერილი უაზრო კუპლეტები და, დასასრულ, ქ-ნმა ჩერქეზიშვილმა სხვებთან ერთად მშვენივრად იცეკვა ლეკური.

პიესასა და დივერტისმენტს შორის არტისტებმა საჩუქარი მიართვეს ბ-ნ გედევანოვს და ბ-ნმა კ. მესხმა რაღაცა სიტყვა უთხრა და მობენეფისემაც საპასუხო სიტყვა მოახსენა.

წარმოდგენას დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო—ბევრნი ფეხზედ იდგნენ. მობენეფისეს რამდენიმე ძვირფასი საჩუქარი მიართვეს.

ა. ახნაზაროვი.

*) იხ. „ივერია“ 1897 წლისა № 210.

### ხელთნაწერი „ვეფხის-ტყაოსანი“ ერევანში.

ერევანში ერთს ფრიად წარჩინებულ კაცს შემთხვევით უშოვნია ერთის თათრის სახლში ძველი ხელთნაწერი „ვეფხის-ტყაოსანი“. დაწერილია იგი მსხვილის, გარკვეულის ხელით, რგვალის ასოებით. ქაღალდი სქელია, ცოტა მოყვითანო და ტყავს უფრო წააგავს, ვიდრე ქაღალდს. ფურცელი 12×9 გოჯია, სათაურები და ტაეპის დასაწყისის ორი სიტყვა წითლის მელნით არის დაწერილი, დანარჩენი მშვენიერი შავი უხუნო მელნით. არა სჩანს-კი, ვისგან ან როდის არის გადაწერილი. აკლია თავშიაც და ბოლოშიაც. თავი იწყობა ასე:

მეფე: ლაღი: და: წყლიანი: გამხიარულ-
და: მეტადრე:
სიცილით: უთხრა: ავთანდილს: შვილათ:
გზრდი: მით: შემომკადრე
იცი: არ: ვიწყენ: გაზრდილო: მით: შემომიხველ: ზედ ადრე
და: თუ: არ: გასწბილდე: მაჯობო: ბედი:
გეყოფის ბედადრე.

ამას ქვევით იწყობა ?ოთხრობა ნადირობისა ავთანდილისა და როსტევან მეფისა.

ეს ხელთნაწერი შეადარე გ. ჩარკვიანის მიერ გამოცემულ ვეფხის-ტყაოსანს 1887 წ. და აღმოჩნდა, რომ ხელთ-ნაწერში ბევრი ტაეპია მეტი, თითქმის მთელი გვერდი და ფურცლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიც. ამის გარდა ხელთნაწერში ბევრი სიტყვაა ნახმარი ისეთი, რომელიც ბეჭდურში ან სულ არ არის, ან გადასხვაფერებულია და აზრსაც უკეთ ჰხატავს, ვიდრე ბეჭდური. ხელთნაწერში დაწვრილებით არის ნაამბობი, თუ ტარიელმა და ნესტან დარეჯანმა როგორ გაიგეს სიკვდილი ფარსადან მეფისა, აოხრება ინდოეთისა ხატაველთაგან და სხ. ტარიელი ნესტან დარეჯანით და ავთანდილ-ფრიდონნართურთ მიეშურება ინდოეთის საშველად, დაამარცხებენ მტერს, ტარიელი გადაიხდის დიდს ქორწილს; ასმათსაც შეჰრთავს ქმარს და მისცემს საკუთარს სამეფოს, მხოლოდ უნდა ტარიელის მორჩილი დარჩეს. ავთანდილი და ფრიდონი წავლენ თავიანთ სამეფოში. მერე მოთხრობილია ტარიელის მეფობა. რამდენისამე ხნის შემდეგ ტარიელი გახდება ძლიერ ავად, ვეღარ იმყრის ლოგინში, შეიქმნება უძლური. გაიგებს რა ტარიელის ამ მდგომარეობას ხვარაზმთა მეფე, გამოილაშქრებს ინდოეთზედ და აიკლებს ტარიელის სამეფოს. ტარიელს არა აქვს ღონისძიება გაუმკლავდეს საკუთარის ძალ-ღონით მტერს და მიჰმართავს მეგობრებს—ავთანდილსა და ფრიდონს. მეგობრები დაუყოვნებლივ შეჰკრებენ დიდ-ძალს ჯარსა და წამოვლენ ინდოეთისკენ, თან წამოიყვანენ საუკეთესო ექიმებს. მოვლენ ინდოეთში, ექიმებს მიუჩენენ ავადმყოფს, ხოლო თითონ მტერს მიესევიან, დაამარცხებენ ხვარაზმთა მეფეს და განდევნიან ინდოეთიდგან. ჩქარა ტარიელიც მორჩება სენისაგან, შეჰკრებს ჯარს და მიესევა ხვარაზმთა მეფეს. გაიმართება საშინელი ომი, ხვარაზმთა მოხუცებული მეფე გაშმაგებული ომობს, ეძებს ტარიელს, უნდა მის პირდაპირ შეხვედრა. სწყურიან სისხლის ალება. კიდეც შეჰხვდებიან ერთმანეთს ტარიელი და მოხუცი მეფე, რომელიც შეუტევს ტარიელს, დაუწყებს მჭისხანედ წყევლა-კრულვას, რომ მძინარეს მიეპარე ჩემს ერთად-ერთს შვილს კარავში და მოჰკალიო (ნესტან დარეჯანის პირველ საქმროს), რითაც შენ გამოასალმე ქვეყნიერობას და დამიბნელე მზეო, ჰკრავს შუბს გულში ტარიელს,—ჩემი ხელით უნდა დავღვარო შენი სისხლი, მინდა მოსვენებით ჩავიდე საფლავშიო,—მაგრამ რკინის ტანისამოსი არ უშვებს შუბს და შუბი ზედ ელეწება მთლად. ტარიელი მოუქნევს ხმალს და ცხენს თავს მოუგდებინებს. ჩამოვარდება მოხუცი მეფე ძირს და ქვეითი დაუწყებს ომს. ტარიელი სცდილობს არ მოჰკლას, დაიჭერს ცოცხალს და უბრძანებს ჯარისკაცებსაც, არ მოჰკლათო. ავთანდილი და ფრიდონი მალიან უწონებენ ტარიელს ასეთს საქციელს. ურჩევენ მოხუცს მორჩილი იყოს ტარიელისა და დაანებოს თავი მის მტრობას. დიდის თათბირის შემდეგ თავისს ვეზირებთან ხვარასმთა მეფე სთანხმდება; ტარიელი შესვამს მოხუც მეფეს მშვენიერს ცხენზედ და გაისტუმრებს მისს სამეფოში. ომის გათავების შემდეგ მეგობრები გამოემშვიდობებიან ტარიელს და წავლენ თავიანთ სამეფოში. იწყება ისევ ტარიელის მშვიდი მეფობა.

სიბერის დროს ტარიელი სწერს ანდერძებს. სამი ანდერძია მოყვანილი, რომლებშიაც საუცხოვოდ არის გამოხატული ქვეყნის ნივთიერი ამაოება, სოფლის დაუნდობლობა და სხ. ერთს ანდერძს უტოვებს თავისს შვილს სარიდანს, რომელსაც აძლევს დარიგებას ყოველისფრის შესახებ: ეტყვე ყველასთან გეთილ-განწყობილებას, მტერი თუ გაგიჩნდეს, ნუ დაებრიყვები, შენ თუ ვერ შესძლო მარტო გამკლავება, მიჰმართე ჩემს მეგობრებს—ავთანდილს და ფრიდონს, ან იმათ შვილებსო. თან სწერს, რომ იყავ იმათი მორჩილი და უმცროსი ძმაო. მტერს მტრულად დაუხვდი, მოყვრეს მოყვრულად; ნუ გამოუდგები სიმდიდრის შეძენს, ყოველიკე ამაოა, არას წაიყოლებ ამ ქვეყნიდგან; იყავ მფარველ-დამხმარებელი ყოველ გაჭირვებულთა, ქვრივთა და ობერთაო. დავრწმუნდი, რომ ყველაფერი ამაო ყოფილა, ეს ქვეყანა ცრუ და თვალთ-მაქცი არისო. ემდურის სოფელს, იმიტომ, რომ იგი დაუნდობელია, არ აძლევს კაცს სრულს ბედნიერებას და სხ. ენანება თავისი თავი სასიკვდილოდ; ადრე გვედები; თუ ესეთი მოკლე წუთი სოფელი მექნებოდა, ნეტავ მაშინ მომკვდარვიყავ, როდესაც გაშმაგებული დავდიოდი ტყე-ღრე უდაბნოშიო.

ნესტან დარეჯანიც სწერს მოკლე ანდერძს; ისიც მისტირის თავისს ახალგაზდობას და იძლევა დარიგებას, როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი ამ დაუნდობელ სოფელში. ცოლ-ქმარნი იხოცებიან ერთ წელიწადს ოთხმოც-და-ათის წლისანი. ხელთნაწერში ავთანდილის ანდერძიც არის, რომლისაც მარტო ფურცელ ნახევარის დარჩენილი, დანარჩენი აკლია წიგნს. უნდა ვიფიქროთ, რომ წიგნს ბოლოში ბევრი აკლია, რადგანაც, თუ ავთანდილი სწერს ანდერძს, უთუოდ ფრიდონის და თინათინის ანდერძიც უნდა იყოს.

საჭიროდ ვსცანი ამოვეწერა ხელთნაწერიდგან შემდეგი ადგილები, რომელიც არ არის დაბეჭდილში:

ესე. ამბავი: ნარჩომი:. მათ: ლომთა: მორჭმით: მგონეთა
გალექსვა: აკლდა: ხვარაზმთა: მეტად: ვერ: მოვიგონეთა
ძნელია: პოვნა: გული: ჰკრთა: დავარდი: დაველონეთა
და კვლავე: ვთქვი:ლექსი:გავმართე. მოსმენით გაიგონეთა.

* * *

:.აწ: გონიერნო: სიტყვანი: თქვენ ჩემნი: შეიწყნარენით
ძველი: ნარჩომი: ამბავნი: ლექსად: ვთქვი: გაიხარენით:
სარგისს: დაურჩა: უთქმელად: ჩვენ: ესე: დავიბრალენით
და: ლექსი: მიქენით: ამისთვის: ენანი: მამახმარენით'

* * *

ეს: ამბავი: დარჩომოდა: სარგის: ლექსთა: შეუწყობლად
ეგრევ: თმოგვი: თმოგველთაგან: შესავლითურთ: დარჩა; ობლად
ესე: სიტყვა: მოვახსენე: ვინ: ჩანს: გმირთა: რაზმთა: მწყობლად
და: მიბრძანა: თუ: ლექსად: თქვიო: მჰევრ: ქართულად: და უშრობლად.

ეს სამივე ტაეპი ჩართულია ანდერძებში, პირველი ორი ერთად არის, მესამე-კი რამდენისამე ფურცლის შემდეგ.

სასურველია შეჰდარდეს ეს ხელთნაწერი უძველეს ვარიანტს „ვეფხისტყაოსნისას“ და გავიგოთ—არის რამ ცვლილება მათ შორის, თუ არა, ან რამდენად დაახლოვებულია ეს ხელთნაწერი ნამდვილ დედანთან. ეს ხელთნაწერი ამ ჟამად ერევნის ვიცე-გუბერნატორს თავ. ნაკაშიძესა აქვს *).

მღვდ. დ. ვარდიაშვილი

*) კარგი იქმნება, რომ ეს „ვეფხის-ტყაოსანი“ უპატივცემულესმა თავადმა „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ დროებით მაინც გასასინჯად და შესადარებლად გამოუგზავნოს.

რედ.

# დეპეშა

5 თებერვალი

**პარიჟი.** „ჰავასის სააგენტოს“ ბიულეტენი იუწყება: „საღამოს 10 საათზედ ფორი გარდაიცვალა წვეთის დაცემისაგან. დიუპუიმ, რომელიც პრეზიდენტის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს დაესწრო, აუწყა სამწუხარო ამბავი პალატისა და სენატის პრეზიდენტებს და გაუგზავნა პრეფექტებს და სუბპრეფექტებს შემდეგი დეპეშა: «მწუხარებით გაუწყებთ პრეზიდენტის გარდაცვალებას. ინებეთ და ზომები მიიღეთ, რათა მცხოვრებელთ შეიტყოთ რესპუბლიკისთვის ეს სამწუხარო ამბავი. ამ სამწუხარო გარემოებაში მთავრობას იმედი აქვს, რომ ყველანი ფხიზლად მოიქცევიან»“.

**პარიჟი.** საღამოს 6 საათზედ ფორმა ცუდად იგრძნო თავი და დაუძახა ლეგალლს, რომელმაც პირველი შემწეობა აღმოუჩინა და მაშინვე მკურნალები მოაყვანინა, მკურნალები თუმცა ბევრს ეცადნენ, მაგრამ ფორი 10 საათზედ გარდაიცვალა. იქ იყვნენ იმის ოჯახობა და დიუპუი.

**პარიჟი.** აი რამდენიმე დაწვრილებითი ცნობა პრეზიდენტის სიცოცხლის უკანასკნელ წუთების შესახებ. საღამოს 6 საათზედ კაბინეტში მყოფი ფელიქს ფორი მოვიდა ლეგალლის კაბინეტის კარებთან და სთქვა: „ცუდათა ვგრძნობ თავს, მიშველეთ!“ ლეგალლი მაშინვე მიჰვარდა პრეზიდენტს, რომელიც ჯერ კიდევ ფეხზედ მაგრა იდგა და მიიყვანა დივანთან; შემდეგ ჩუმათ დაუძახა გენერლებს ბაილვარსა და ბლონდელს, აგრეთვე მკურნალს ემბერს, რომელიც შემთხვევით ელისეის სასახლეში იყო თავისის ნათესავის მაიორის ემბერის სანახავად. პირველსავე წუთს პრეზიდენტის მდგომარეობა საშიშოდ სცნეს. რადგანაც-თან და თან უფრო ცუდათა ხდებოდა, ტელეფონით დაიბარეს მკურნალები ლანნელონგი და შოლი; ამავე დროს შეატყობინეს ეს ამბავი შარლ დიუპუის. ი მკურნალები ლანნელონგი და შოლი, რომელთაც მალე მკურნალი ბერჟერონიც მიემატა, დარწმუნდნენ, რომ, თუმცა პრეზიდენტს ჯერ გონება ჸრ და კარგა, იგი მაინც მეტად საშიშ მდგომარეობაში იყო. საღამოს 8 საათზედ მკურნალებმა შეატყობინეს ქ-ნთ ბორსა და ბერჟეს, რომ პრეზიდენტის მორჩენის იმედი აღარ არისო. ისინი მაშინვე მოვიდნენ და მიუახლოვდნენ ფელიქს ფორს, რომელიც ისევ დივანზედ იწვა. რამდენსამე წუთს შემდეგ პრეზიდენტმა გრძნობა დაჰკარგა და 10 საათზედ გარდაიცვალა. შარლ დიუპუი, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ელისეის სასახლეში იყო, მაშინვე შეატყობინა ეს ამბავი ორსავე პალატის პრეზიდენტებსა და მინისტრებს და გაუგზავნა დეპეშები ალჟირის გენერალ გუბერნატორს, პრეფექტებს და სუბპრეფექტებს. პრეზიდენტის გარდაცვალების ამბავი გავრცელდა მხოლოდ 11 საათზედ. მაშინვე ელისეის სასახლეში მივიდნენ საპოლიტიკო მოღვაწენი, მაგრამ სასტიკი ბრძანება გასცეს და სასახლეში მხოლოდ მინისტრები შეუშვეს.

**პარიჟი.** აი დაწვრილებითი ამბავი ყოველისავე შესახებ. უპირველეს ყოვლისა. დიუპუიმ საყოველთაოდ აცნობა პრეფექტებსა და სუბპრეფექტებს და დაავალა მათ თქვენ თანამდებობას თავს ნუ გაანებებთო, ხოლო იმათ, ვინც სხვაგან იყო ან დროებით სამსახურს დაეთხოვა—დაუყოვნებლივ უკან დაბრუნებული ყვნენ. არ ეგონათ, რომ ფორი ეგრე მალე გარდაიცვლებოდა. უკანასკნელ დღეებში პრეზიდენტს თავისის ჩვეულებისათვის არ გადაუხვევია, უწინდელებრ მუშაობდა, ცხენით დასეირნობდა, სჭამდა და კარგად ეძინა. ლეგალლს მაინც რამდენჯერმე უთხრა: „ფეხზედ ვეღარა ვდგები, თითქოს მისუსტდებაო“-ო. გუშინ, ოთხშაბათს, ჩვეულებრივ დროზედ, 7 საათზედ კაბინეტიდგან გამოვიდა, უბრძანა შეეტყობინებინათ პიკერისათვის, რომ ხვალ, დილის 7 საათზედ ცხენით სასეირნოთ წავალო. შემდეგ პრეზიდენტი თავის ოთახებში შევიდა, სადილი ოჯახობასთან ერთად მიირთვა და და ვა დასაძინებლად 10 საათზედ. დღეს, დილით ადგა, 6 საათზედ, გაგზავნა კაცი გადასაცემად, რომ სასეირნოთ აღარ წავალო. ლეგალლს, რომელიც ამ დროს იმასთან შევიდა, პრეზიდენტმა უთხრა, გუშინდელზედ ცუდათ არა ვგრძნობ თავსა, მაგრამ, ვფიქრობ თავი შევიკაო ყოველგვარ ფიზიკურის მოძრაობისაგან, რადგანაც ძალიან დამღალაო. შემდეგ ფორი სამუშაო კაბინეტში შევიდა, წაიკითხა საღამოთი მიღებული დეპეშები, აგრეთვე „ჰავასის სააგენტოს“ ბიულეტენები და გადაათვალიერა გაზეთები, რადგანაც აზრადა ჰქონდა ამ დღეს მინისტრთა საბჭოში თავმჯდომარეობა გაეწია. საბჭო შეიკრიბა 9 საათზედ. ფორს სრული გონიერება ეტყობოდა. არავის არ წარმოედგინა, რომ მას უკანასკნელად ვართმევ ხელსაო ისაუზმა რა შუადღისას, 2 საათზედ ფორი ლეგალლთან ერთად კაბინეტში შევიდა და იქ ბუხართან მჯდომმა კანცელარიის გამგესთან ლაპარაკში გაატარა დრო. საღამოს 5 საათზედ ლეგალლი ერთის საათით დაეთხოვა პრეზიდენტს. როდესაც 6 საათზედ დაბრუნდა, ლეგალლმა დაინახა, რომ პრეზიდენტი საწერ სტოლთან იჯდა და დეკრეტებს ხელს აწერდა. დეკრეტები საღამოობით გენერალ ბალს შეჰქონდა ხოლმე. როდესაც პრეზედენტმა ხელის მოწერა დაამთავრა, გენერალი წავიდა. რამდენისამე წუთის შემდეგ ფორმა შეაღო ლეგალლის კაბინეტის კარი და სთქვა: „აქ მოდით, ცუდათა ვგრძნობ თავს“-აო.

**პარიჟი.** ფორი გარდაიცვალა კაბინეტში, სადაც ურიცხვ დეკრეტს მოაწერა ხელი. ჩვენ მოვახერხეთ ფორის კაბინეტში შესვლა. იგი ტახტზედ წევს. სახეზედ სრული მშვიდობიანობა ეტყობა. ხელები გადაჯვარედინებული უდევს გულზე. ტახტის აქეთ-იქიდგან ორი მოლოზანი სდგას. ქ-ნი ფორი და შვილები დიდს მწუხარებაში არიან. დღეს, დილის 9 საათზედ მინისტრთა საბჭო შეიკრიბება კონგრესის მოსაწვევათ, რათა, კონსტიტუციის თანახმად, ახალის პრეზიდენტის არჩევას შეუდგნენ: მანამდე აღმასრულებელი უფლება დროებით საბჭოს ხელთ იქმნება. კონგრესი შეიკრიბება უთუოდ შაბათს, ვერსალში. ოფიციალურმა პირებმა ფორის გარდაცვალების ამბავი შეიტყვეს მხოლოდ $11^1/_2$ საათზედ. მინისტრები მოვიდნენ, მაგრამ სას ხლეში შესვლა სასტიკად იყო აღკრძალული. კაბინეტის ერთმა წევრმა გვითხრა: „საფრანგეთის მდგომარეობა ეხლა, ფორის გარდაცვალების დროს, უფრო სერიოზულია, ვიდრე მაშინ იყო, როდესაც კარნო გარდაიცვალა. მაშინ საქმე ანარხისტებთან გვქონდა, ისეთ მტერთან, რომელთანაც ბრძოლა შეიძლებოდა. ეხლა სულ სხვაა; დრეიფუსის საქმის წყალობით, მდგომარეობა გამოურკვეველია, მოუსვენარი: დანამდვილებით არ ვიცით, რა მოგველის“.

**პარიჟი.** ფელიქს ფორის გარდაცვალების ამბავი გასწრაფლ გავრცელდა პარიჟში. ელისეის სასახლეს წინ აუარებელ ბრბოს პოლიცია ძლივს იმაგრებდა. მახლობელი ქუჩები და მოედნები ეტლებს ეჭირა. შუაღამე შესრულდა, მაგრამ სასახლეში ჯერ არავინ შეუშვათ. ლუბე $12^3/_4$ საათზედ მოვიდა. სასახლის წინ ხალხი გვიანობამდის იდგა. ნაშუაღამევის პირველ საათზედ უკვე გამოვიდა რამდენიმე გაზეთი მოკლე ცნობებით პრეზიდენტის გარდაცვალებისა და სიცოცხლის უკანასკნელ წუთების შესახებ. ბრბო ხელიდგან ჰგლეჯავდა დამტარებელთ გაზეთებს და ფარნების წინ კითხულობდა.

**პარიჟი.** ლეგალლი მაშინვე მოვიდა. ფორი ფეხზედ მაგრა ვეღარ იდგა ლეგალლმა ხელი მიაშველა და დივანთან მიიყვანა. ფორმა რამდენჯერმე თავზედ წაივლო ხელი და გაიმეორა: „ცუდათა ვარ, ცუდათა ვარო!“ ლეგალლმა ჰკითხა: „რასა ჰგრძნობთ, სადა გტკივათ?“-ო. ფორმა მიუგო: „სუსტადა ვარ. ვგრძნობ, რომ ყველაფერი გათავებულია“ ო. ლეგალლმა უბრძანა ბლონდელისათვის დაეძახათ და სთხოვა მას ის მკურნალი მოეყვანა, რომელიც შემთხვევით სასახლეში იყო. მკურნალმა ემბერმა გასინჯა პრეზიდენტი და ასუნებინა ეფირი. პირველად ეგონა, რომ ავადმყოფი საშიშ მდგომარეობაში არ არისო; მაგრამ, რადგან პრეზიდენტი უკეთ არა ხდებოდა, კანის ქვეშ კოფეინი შეუსხურა. პრეზიდენტმა ხელ-ახლა გაიმეორა რამდენჯერმე: „ვგრძნობ, რომ ყველაფერი გათავდა, ყველაფერი გათავდა“-ო. შემდეგ განაცხადა, მსურს ცოლი და შვილები ვნახოო. მაშინვე მოვიდნენ ქ-ნი ფორი და ლიუცია ფორი. პრეზიდენტმა კიდევ გაიმეორა: „ძალიანა ვარ ავად. ვგრძნობ, რომ ყველაფერი გათავდა“. 8 საათზედ მოვიდა მკურნალი ლანელლონგი, რომელმაც გასინჯა პრეზიდენტი და გამოუცხადა ლეგალლს, რომ პრეზიდენტის მორჩენა საეჭვოა. ლეგალლია დიუპუის შეატყობინა. დიუპუი მოვიდა სასახლეში. ლეგალლმა შენიშნა, რომ მინისტრის აქ ყოფნა ცუდად იმოქმედებს ფორის ოჯახობაზედო. დიუპუიმ მიუგო, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში ვიქმნები და იქიდგან შევატყობინებ სხვა მინისტრებსაცაო. ფორი ისევ დივანზედ იწვა და იმეორებდა, კარგი შედეგი არ მოჰყვება ამ ავადმყოფობასაო. მეუღლე იქვე იდგა. ფორი გამოეთხოვა მას და მადლობა გარდაუხადა სიყვარულისა და ერთგულობისათვის; გამოეთხოვა აგრეთვე შვილებს. რამდენი გულითადი სიტყვა უთხრა ლეგალლს, რომელსაც მადლობა გარდაუხადა ერთგულის თანამშრომლობისათვის; შემდეგ მიჰმართა „დვორეცკის“ და სთხოვა, მაპატიე კადნიერად მოქცევისათვისაო. კამერდინერს ბრიდიესაც რამდენიმე თბილი სიტყვა უთხრა. 9 საათზედ გრძნობიერობა დაჰკარგა. მოვიდნენ მკურნალები და დიუპუი. არავითარი იმედი აღარ იყო. 10 საათზედ ფორი გარდაიცვალა, იმისაგან, რომ ტვინში სისხლი აუვარდა. რამდენიმე წუთით ადრე მღვდელი მოაყვანინეს და პრეზიდენტმა წმ. საიდუმლო მიიღო.

Дозволено цензурою, Тифлисъ 5 го Февраля 1899 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე